2015 წელს გაწეული მუშაობის შესახებ გამგებლის ანგარიში

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ - ს 54-ე მუხლის 1 პუნქტის ,,ბ.ა“ ქვეპუნქტის შესაბამისად წარმოგიდგენთ ანგარიშს გაწეული მუშაობის შესახებ.

მუნიციპალიტეტის 2015 წლის 12 თვის შემოსულობებმა შეადგინა 11 277,5 ათასი ლარი, ცენტრალური ბიუჯეტიდან მისაღები ფინანსური დახმარებებისა და საანგარიშო პერიოდისათვის არსებული ხარჯების დასაფარავად მიმართული თავისუფალი ნაშთის 390,5 ათასი ლარის ჩათვლით (მათ შორის: წლის დასაწყისში მიიმართა 322,4 ათასი ლარი: სტიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების დაფინასნებაზე - 43,6 ათასი ლარი, ციტრუსის მოსავლის აღებისათვის - 137,5 ათასი ლარი, გზის მშენებლობისათვის - 50,0 ათასი ლარი, საპროექტო დოკუმენტაციის შედგენისათვის - 10,0 ათასი ლარი, ხელფასის მატებაზე - 81,3 ათასი ლარი, დანარჩენი - 68,1 ათასი ლარი მიიმართა: კომუნალური სამსახური ,,სხივის“ სუბსიდირებაზე - 21,2 ათასი ლარი, კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე - 21,3 ათასი ლარი, ,,მომავალის“ სუბსიდირებაზე - 25,6 ათასი ლარი). აქედან - ქონების გადასახადში შემოსულია 389,0 ათასი ლარი. სხვა შემოსავლებმა შეადგინა 2076,5 ათასი ლარი, მ.შ. ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის მოსაკრებელი შემოსულია 1462.0 ათასი ლარი, ბანკის მომსახურების პროცენტი 42,1 ათასი ლარია შემოსული. ადმინისტრაციული მოსაკრებლების და გადასახდელების საერთო შემოსავლებმა 37,1 ათასი შეადგინა. შემოსავლები ჯარიმებიდან და საურავებიდან 110,9 ათასი ლარია შემოსული, არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსულია 201,3 ათასი ლარი, მათ შორის, 70,0 ათასი გურამიშვილის #8-ში მდებარე შენობა-ნაგებობა, (ყოფილი ღვინის ქარხანა); ფინანსური დახმარებები (ტრანსფერები) მიღებულია ცენტრალური ბიუჯეტიდან 8610,6 ათასი ლარი, აქედან გათანაბრებითი ტრანსფერი 3130,4 ათასი და მიზნობრივი ტრანსფერი 183,0 ათასი ლარი. სპეციალური დანიშნულების (კაპიტალური) ტრანსფერი 5341,1 ათასი ლარია შემოსული.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების გეგმა აღნიშნული პერიოდისათვის შეადგენდა 11 708,6 ათას ლარს (ნაშთის ჩათვლით). 12 თვის შესრულებით ფაქტიური ხარჯი შეადგენს 10,972,4 ათას ლარს(ინფორმაციისათვის N 39 განკარგულებით ასათვისებელი დარჩა 78,9 ათასი ლარი; აქედან 14,2 ათასი ლარი შუაამაღლების კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოების, დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობის 38,2 ათასი ლარი, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემოსურებში, ჩომეთში, გორაბერეჟოულში,

დიდვანში და წიფნარში მგზავრთა მოსაცდელების მშენებლობის 26,5 ათასი ლარი. სქიქიის სალიკვიდაციო ღონისძიებების განსახორციელაბლად: N 1381 განკარგულებით 41,9 ათასი ლარი,

N 2284 განკარგულებით 124,5 ათასი ლარი, N 2529 განკარგულებით 205,0 ათასი ლარი, N 2283 განკარგულებით 94,6 ათასი ლარი, 65,9 ათასი ლარი საგზაო ინფრასტრუქტურის ღონისძიებების სამუშაოების განსახორციელებლად, 2014 წლის N 2033 განკარგულებით 9,0 ათასი ლარი, 2015 წლის N 506 განკარგულებით 39,6 ათასი ლარი აქედან 19,0 ათასი ლარი არის ეკონომია, რომელიც მიიმართება ინფრასტრუქტრული პროექტების დასაფინანსებლად, ასევე ასათვისებელი დარჩა სადაზღვევო კომპანიის მიერ დაბრუნებული 76,8 ათასი ლარი

მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს შენახვაზე 2015 წელს გეგმით გათვალისწინებული არის 728,2 ათასი ლარი, 12 თვის ათვისება შეადგენს 718,3 ათას ლარს.

აღმასრულებელი ორგანოების შენახვაზე გეგმით 2015 წელში გათვალისწინებული იყო 1375,9 ათასი ლარი, 12 თვის შესრულებით 1356,9 ათასი ლარი გაიხარჯა, რომელიც შეადგენს წლიურის 99,0%;

სარეზერვო ფონდი განსაზღვრული იყო 2015 წელში 49,0 ათასი ლარი.

გახარჯულია 45,9 ათასი ლარი, მ.შ. სოფელ ბასილეთში გურამ უჯმაჯურიძის სასაფლაოს მოწყობისათვის 1,2 ათასი, სოფელ შუაფარცხმაში დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალის აღდგენაზე 1,8 ათასი, სოფ. ხიდისთავსი წყალსადენის შეკეთების სამუშაოებზე 4,0 ათასი, დაბის ცენტრში სასმელი წყლის სოკოების მოწყობის სამუშაოებზე 1,5 ათასი, გამგეობის ადმინისტრაციულ შენობაში გარე წყალმომარაგების სისტემის შეკეთებაზე 0,5 ათასი, სოფ. ზემოსურების მოსახლეობისათვის ელექტრო მრიცხველის შეძენისათვის 1,3 ათასი, სოფ. ერკეთში წყლის ავზის შეკეთებისათვის 0,1 ათასი ლარი, სოფ. კოხნარში დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალი შეკეთებისათვის 1,0 ათასი, სოფ. შუა ამაღლებაში საბავშვო ბაღის შენობისათვის მარტივი სალექარის მოწყობისათვის 1,1 ათასი ლარი, სტიქიის შედეგად ჩოხატაური-სურების მე-5 კმ_ში სოფ. ბუკისციხი დამეწყრილი მონაკვეთის აღდგენის სამუშაოებზე 2,5 ათასი ლარი. სოფელ შუაამაღლების საჯარო სკოლის ეზოს შემოღობვისათვის 0,5 ათასი ლარი. მუნიციპალიტეტის ცენტრალური სტადიონის შესასვლელის მოწყობის და დამცავი ბარიერების შეღებვის სამუშაოებისათვის 4,4 ათასი ლარი და ცენტრალური საფეხბურთო სტადიონისათვის 440 სავარძლის სამონტაჟო სამუშაოებისათვის 3,8 ათასი ლარი და ცენტრალური სტადიონის ადმინისტრაციული შენობისათვის რბილი ავეჯის(რბილი სკამი)

0,7 ლარი . ჯვარცხმის ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრები ეკონომიკურად შეჭირვებული ლია იოსებიძის საცხოვრებელ ბინაში ელ. ენერგიის დავალიანების დასაფარავად 0,2 ათასი ლარი. 13 ივნისს სტიქიის შედეგად დაღუპული ივლიტა ჯიბუტის სახელობის ბიბლიოთეკის მშენებლობისათვის 3,0 ათასი ლარი, შუა ამაღლების ადმინისტრაციულ ერთეულში ხიდის შესაკეთებლად 0,4 ათასი ლარი. ბორის პაიჭაძის სახელობის სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე ასფალტო ბეტონის საფარის შეკეთებისა და მოწყობისათვის 5,4 ათასი ლარი, ერკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში სოფლებში: ზედა და ქვედა ონჭიქედში დაზიანებული სასმელი წყლის მაგისტრალია აღდგენისათვის 4,6 ათასი ლარი, სოფ. ზემოსურების მიკრო ჰესის სარეაბილიტაციო სამუშაოებისათვის 0,6 ათასი,

- თავდაცვის ღონისძიებებზე – სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის შენახვაზე გეგით გათვალისწინებულია 117,5 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერი) გახარჯულია 114,1 ათასი ლარი, წლიურის 97,2%.

- სახანძრო დაცვის სამსახური მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან გრანტის სახით გეგმით ფინანსდებოდა 200,0 ათასი ლარით, ფაქტიურად გახარჯულია 199,9 ათასი ლარი, რომელიც შეადგენს წლიურის 99,9%.

- საგზაო ინფრასქრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია გეგმით 1 368,5 ათასი ლარი (თოვლის საფარის გასაწმენდად გამოიყო 35,0 ათასი ლარი საბიუჯეტო სახსრებით) ფაქტიურად ათვისება 1338,9 ათასი ლარი (97,8%). (დაბა ჩოხატაურში ჩიჩუას, გოგებაშვილის, ჯალაღანიას, ფიროსმანის და გოგიბერიძის ქუჩებზე ასფალტო ბეტონის საფარისა და სანიაღვრე არხების, სოფელ ბუკისციხეში სასაფლაოსთან მისასვლელ გზაზე ასფალტო ბეტონის საფარის და ბეტონის სანიაღვრე არხების, ბუკისციხე - ზემოსურების დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაციის, სოფელ ზემოსურებში, ზემოხეთში, ჩომეთში, დიდივანში და წიფნარში მგზავრთა მოსაცდელის მოწყობის)

- 2015 წელში გარე განათების მოწყობისათვის გეგმით 55,0 ათასი ლარი იყო გათვალისწინებული , ათვისებამ შეადგინა 54,9 ათასი ლარი. დასრულდა დაბა ჩოხატაურში, სოფ. ზემო ფარცხმაში, სოფ. ფარცხმაში, სოფ გუთურში, სოფ. დაბლაციხეში, და სოფ. გოგოლესუბანში ქსელის მოწყობის სამუშაოები.

- ა(ა)იპ კომუნალური სამსახური ,,სხივი“– ს სუბსიდირებაზე გეგმით 378,9 ათასი ლარი; გახარჯულია 378,9 ათასი ლარი, წლიურის 100%.

- ა(ა)იპ ,,კურორტ ბახმაროს“ დაფინანსებაზე გამოყოფილია - 98,3 ათასი ლარი. გახარჯულია 98,1 ათასი ლარი, წლიურის 99,7 %.
- 2015 წელში შენობების ტექნიკური პასპორტების და მიწის საკადასტრო აზომვითი ნახაზების დამზადების, საპროექტო დოკუმენტაციის მომზადებისა და საინფორმაციო საშუალებებში გამოქვეყნების ხარჯების გეგმა -- 195,6 ათასი ლარია, ფაქტიურად 12 თვის შესრულება შეადგენს 157,6 ათასი ლარს.
- კეთილმოწყობის ღონისძიებებზე 2 527,7 ათასი ლარი მიიმართა - 12 თვეში ათვისებულია 2359,7 ათასი ლარი . (დაბა ჩოხატაურში აგრარული ბაზრის რეაბილიტაციის, სოფელ ამაღლებაში, სამებაში, ხევში, ქვენობანში, ბუკნარში და კოხნარში საბავშვო ბაღების რეაბილიტაციის, დაბა ჩოხატაურში გამგეობის შენობის მიმდებარედ სკვერის მშენებლობის, სამხატვრო გალერიის შენობის რეაბილიტაციის, სოფელ ზემო ფარცხმის და სოფელ ბუკისციხის კულტურის სახლის რეაბილიტაციის, სოფელ შუაამაღლებაში კულტურის სახლის რეაბილიტაციის და დაბა ჩოხატაურში კულტურის სახლის მშენებლობის)
- სოფლის მხარდაჭერის პროგრამა გეგმით 627,6 ათასი ლარს შეადგენდა, ფაქტიურად 12 თვეში შესრულდა 587,9 ათასი ლარის სამუშაოები 83,6%
- სტიქიის შედეგად სალიკვიდაციო ღონისძიებების დასაფინანსებლად გამოყოფილი იყო 1397,1 ათასი ლარს შეადგენს, ათვისებულია 1020,4 ათასი ლარი (73%)
- სოფლის მეურნეობის მხარდაჭერა და განვითარებისათვის გათვალისწინებული იყო - 10,0 ათასი ლარით; ათვისება 2,0 ათასი ლარი, წლიურის (20%.)
- ციტრუსის მოსავლის აღების ღონისძიებები (წინა წელს გამოყოფილი და ნაშთის სახით დარჩენილი) 137,5 ათასი ლარს შეადგენს , თანხის ათვისება არ განხორციელებულა;
- 2015 წელში ა(ა)იპ სკოლამდელი და სკოლისგარეშე საგანმანათლებლო საამღზრდელო დაწესებულება ,,მომავალი“-ს შენახვაზე 12 თვის შესრულებით გახარჯულია 718,5 ათასი ლარი.

ა(ა)იპ მოსწავლე ახალგაზრდობის სახლის შენახვაზე 94,5 ათასი ლარია გათვალისწინებულ
ფაქტიურად გახარჯულია 94,5 ათასი ლარი,

- განათლების სისტემის ხელშეწყობის პროგრამის დაფინანსებისათვის ვითვალისწინებდით 19,5 ათასი ლარს, 12 თვის შესრულებით გახარჯულია 16,2 ათასი ლარი, წლიურის 83 %.

- ა(ა)იპ სპორტის განვითარების ცენტრის სუბსიდირებაზე გეგმით – 128,1 ათასი ლარი გამოიყო, გახარჯულია 128,1 ათასი ლარი ,წლიურის 100 %.
- ა(ა)იპ სასპორტო სკოლის სუბსიდირებაზე გეგმა 204,5 ათას ლარს ითვალისწინებდა, გახარჯულია 204,2 ათასი ლარი, წლიურის 99,9%.
- შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბ ,,ბახმარო 2009“ – ს სუბსიდირება გეგმით 182,0 ათასი ლარი, გახარჯულია 182,0 ათასი ლარი,
- გურიის მხარის ოლიმპიური კომიტეტის ჩოხატაურის ორგანიზაციის დაფინანსებაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 4,0 ათასი ლარი, დაიხარჯა 2,8 ათასი ლარი (70%).
- 2015 წელში ა(ა)იპ კულტურის ცენტრის სუბსიდირებაზე გეგმით გათვალისწინებული იყო 324,5 ათასი ლარი, გახარჯულია ამდენივე.
- ა(ა)იპ საბიბლიოთეკო გაერთიანების სუბსიდირება გეგმით 103,4 ათასი ლარია ფაქტიურად 103,4 ათასი ლარი გაიხარჯა (100%)
- ა(ა)იპ სამუზეუმო გაერთიანება გეგმით – 144,5 ათასი ლარი, გაიხარჯა 144,5 ათასი ლარი (100%).
- ა(ა)იპ სახელოვნებო სკოლის სუბსიდირებისათვის გათვალისწინებული იყო 94,3 ათასი ლარი, გაიხარჯა 94,3 ათასი ლარი(100%)
- ა(ა)იპ სამუსიკო სკოლის სუბსიდირება გეგმით 95,0 ათასი ლარი, დაიხარჯა 95,0 ათასი ლარი(100 %).
- ახალგაზრდული ღონისძიებების და ტურიზმის პროექტების თანადაფინანსებას გეგმით 25.0 ათასი ლარი უნდა მოხმარდეს ფაქტიურად გაიხარჯა 18,6 ათასი ლარი(72,8%).
- საახალწლო ღონისძიებებზე გეგმით გათვალისწინებულია 8,0 ათასი ლარი, დაიხარჯა 4,9 ათასი ლარი(61%)
- 2015 წელში რელიგიის დაფინანსებაზე გეგმით -10,0 ათასი ლარი გამოიყო , გაიხარჯა 9,6 ათასი ლარი;
- საზოგადოებრივი ჯანდაცვას გეგმით მოხმარდება 86,2 ათასი ლარი, (მათ შორის მიზნობრივი ტრანსფერი - 66 ,0 ათასი ლარი და 20,2 ათასი ლარი ადგილობრივი ბიუჯეტით, საიდანაც დაფინანსდება საფერშლო პუნქტები), გახარჯულია 84,6 ათასი ლარი (98,1%).
- სოციალურ დახმარებების გეგმა შეადგენს 518.2 ფაქტიურად გახარჯულია 516,3 ათასი ლარი. (99,6%)

2015 წლის ბიუჯეტით დაზუსტებული სიით სოციალური პროგრამების დაფინანსებისათვის გათვალისწინებული იყო 518,2 ათასი ლარი, შემდეგი სახის სოციალურ პროგრამებზე:

1. დედ–მამით ობოლი ბავშვებისადმი ყოველთვიური ფულადი დახმარება. ბიუჯეტით დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 3600 ლარი , გაიხარჯა 3100 ლარი. (თითოეულზე თვეში 100 ლარი), ასეთი 2 ბავშვია.

2. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში მონაწილე მეომრებისა და მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების სარიტუალო მომსახურება. დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 2500 ლარი, გაიხარჯა 1250 ლარი.

3. საქართველოს თავისუფლებისა და ტერიტორიული მთლიანობისათვის ბრძოლაში დაღუპულთა ოჯახებისადმი დახმარება. დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 12300 ლარი, გაიხარჯა 12300 ლარი.

4. უხუცეს დღეგრძელთა დახმარება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 1500 ლარი, გაიხარჯა 1800 ლარი. 6 მოქალაქეს გაეწია დახმარება.

5. მარტოხელა (უპატრონო) პირთა სარიტუალო მომსახურებაზე გათვალისწინებული იყო 2000 ლარი, გაიხარჯა 4000 ლარი. დაიკრძალა 11 პირი.

6. სტიქიური მოვლენების შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მძიმე საცოხვრებელ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი დახმარებაზე, გადაუდებელ შემთხვევაში ბინის შეძენა ან დაქირავება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 88000 ლარი,გაიხარჯა 88000 ლარი. 64 ოჯახს გაეწია დახმარება.

7. მძიმე ეკონომიკურ პირობებში მყოფი ოჯახებისადმი ერთჯერად დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 105 000 ლარი,გაიხარჯა 113100 ლარი. 745 პირს გაეწია დახმარება.

8. იძულებით გადაადგილებულ პირთა დახმარებაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 11000 ლარი, დაიხარჯა 9950 ლარი. 55 დევნილ მოქალაქეს გაეწია დახმარება.

9. 18 წელს ზევით ასაკის პირების რომელთა სარეიტინგო ქულა 57001 დან 12000-ის ჩათვლითაა სტაციონალური სამედიცინო მომსახურების თანადაფინანსებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 46 000 ლარი დაიხარჯა 54500 ლარი. 333 მოქალქეს გაეწია დახმარება.

10. ონკოლოგიურ დაავადებით დაავადებულთა სამედიცინო სტაციონარულ მომსახურებაზე და მედიკამენტების შეძენაზე დახმარება. ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 28000 ლარი, გახარჯულია 35486 ლარი. 102 მოქალაქეს გაეწია დახმარება.

11. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანების და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი სტაციონარული მომსახურებისა და მედიკამენტების შეძენის დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 10000 ლარი გაიხარჯა 1494 ლარი. 10 პირს გაეწია დახმარება.

12. 0 დან 18 წლამდე ასაკის შშმ პირების მედიკამენტების შეძენაზე დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 7000 ლარი გაიხარჯა 500 ლარი. 55 ბავშვს გაეწია დახმარება.

13. ა(ა)იპ განათლების ცენტრის (6-დან 18 წლამდე შშმ პირების დღის ცენტრი. კომუნალური და კვების ხარჯი) დაფინანსებაზე გათვალისწინებული იყო 10000 ლარი გახარჯულია 10000 ლარი.

14. გულის თანდაყოლილი პათოლოგიით (გულის მანკით) დაავადებული 0 დან 18 წლამდე ასაკის პირთა ოჯახების დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 5000 ლარი გაიხარჯა 5000 ლარი. 10 ბავშვი.

15. ახალშობილთა ოჯახებზე დახმარება რომელთა სარეიტინგო ქულა 0-დან 120 000-ის ჩათვლითაა ბიუჯეთით გათვალისწინებული იყო 15000 ლარი დაიხარჯა 14800 ლარი. 74 ოჯახს გაეწია დახმარება.

16. მრავალშვილიანი (4 და მეტი 18 წლამდე ასკის ბავშვები) ოჯახების დახმარება ბიუჯეტით გათალიწინებული იყო 25 000 ლარი, გაიხარჯა 23225 ლარი. 20 ოჯახს გაეწია დახმარება.

17. ფენილკეტონურიით დაავადებული ბავშვებისადმი დახმარებაზე გათვალისწინებული იყო 9600 ლარი, დაიხარჯა 9600 ლარი. 4 ბავშვმა ისარგებლა დახმარებით.

18. მეორე მსოფლიო ომის ვეტერანებისა და ომში დაღუპულთა ქვრივებისადმი დახმარება ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 9500 ლარი და დაიხარჯა 8550 ლარი.

19. 0–დან 18 წლამდე ასაკის პირებისა და შშმ პირების სამედიცინო მომსახურებაზე დახმარება დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 10 000 ლარი, გაიხარჯა 8330 ლარი.

20. თირკმლის უკმარისობით დაავადებულ პირთა დახმარება, რომელიც გადიან დიალეზის კურსს (მგზავრობის ღირებულება) ბიუჯეტით გათვალისწინებული იყო 15000 ლარი, გაიხარჯა 17640 ლარი. 11 პირს გაეწია დახმარება.

21. 0 და 18 წლამდე ასაკის შშმ პირების ოჯახების (კომუნალური გადასახადი) დახმარება . დაზუსტებული სიით გათვალისწინებული იყო 25000 ლარი დაიხარჯა 20070 ლარი. 55 ბენეფიციარს გაეწია დახმარება.

22. დამქირავებლის მიერ გაწეული სოციალურ დახმარება გათვალისწინებული იყო 8000 ლარი ათვისებულია 8000 ლარი.

23. საინვესტიციო პროგრამების თანადაფიონანსებაზე გამოყოფილი იყო 46 260 ლარი გაიხარჯა 46 260 ლარი.

24. სარეზერვო ფონდიდან სოციალურ პროგრამებზე ათვისებულია 5100 ლარი.

ჩატარდა შემდეგი ღონისძიებები, კერძოდ, ქ. თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საქართველოს დამოუკიდებლობის მოთხოვნით გამართული მშვიდობიანი აქციის დარბევის შედეგად დაღუპულ პირთა მოსაგონებლად 9 აპრილის სახელობის პარკში გაიმართა წირვა, 9 აპრილს დაღუპულ ნატო გიორგაძის საფლავი შემკობილ იქნა გვირგვინით, ხოლო მის ოჯახს და 9 აპრილს მოწამლულ ნანა მგალობლიშვილს გადაეცა ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 300 ლარი.

9 მაისს მეორე მსოფლიო ომის 70–ე წლისთავის აღსანიშნავად ჩატარებული იქნა ღონისძიება ომის მონაწილე პირებთან ერთად. გვირგვინით შეიმკო ომში დაღუპულთა მემორიალი. თითოეულ ომში მონაწილესა და ომში დაღუპულთა ქვრივებს გადაეცათ ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 250 ლარი.აგრეთვე ზამთრის სეზონთან დაკავშირებით სათბობის შესაძენად მიეცათ 200 ლარი.

2008 წლის 8 აგვისტოს რუსეთის აგრესიის შედეგად დაღუპულ მებრძოლთა მოსახსენებლად ჩატარებული იქნა ღონისძიება, გვირგვინებით შეიმკო მემორიალი და დაღუპულთა ოჯახებს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება თითოეულს 300 ლარის ოდენობით.

აფხაზეთის კომფლიქტის დროს დაღუპულ ზურაბ კიკვაძის ოჯახს დაენიშნა ყოველთვიური ფულადი დახმარება 300 ლარის ოდენობით.

საანგარიშო პერიოდში შიდა აუდიტის სამსახური მოქმედებდა დამტკიცებული დებულების შესაბამისად.

ჩატარებული იქნა შემოწმება 12 ა(ა)იპ-ში და მუნიციპალიტეტის გამგეობაში „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნათა შესაბამისობაზე. შესამოწმებელ ობიექტებში ხდებოდა საბუღალტრო აღრიცხვიანობის ორგანიზების და დამტკიცებული ხართჯთაღრიცხვების მიზნობრიობის შემოწმება. შემოწმების მასალების საფუძველზე შეფასდა რისკები და გაიცა რეკომენდაციები. ზოგან რისკები იყო მაღალი, ზოგან საშუალო. ამ მხრივ გამოირჩა „სამუსიკო სკოლის“ საბუღალტრო აღრიცხვა, სადაც რისკები აღმოჩნდა დაბალი. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ, ყველგან არის საერთო ხასიათის შენიშვნა, ეს ეხება საბუღალტრო აღრიცხვის პროგრამულ უზრუნველყოფას.

2015 წელი მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელების წელი იყო. მომზადდა საპროექტო წინადადებები და წარედგინა საკრებულოს. საკრებულოს მიერ მოწონებული პროექტები გადაეგზავნა რეგიონული განვითრებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტოს.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 12 მარტის N506 განკარგულებით სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტიდან ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 627 577 ლარი, სოფლებში ჩატარებული საერთო კრებების საფუძველზე შედგა ოქმები პრიორიტეტების მიხედვით. სასმელი წყლის სისტემების რეაბილიტაციაზე გაიხარჯა 32 178 ლარი, გზებსა და სანიაღვრე არხებზე გაიხარჯა 249 643 ლარი, ხიდების რეაბილიტაციაზე - 10 229 ლარი, საქუჩო განათებაზე - 105 065 ლარი, ამბულატორიების რეაბილიტაციაზე - 14 092 ლარი, კლუბების, ბიბლიოთეკებისა და ახალგაზრდული ცენტრების რეაბილიტაციაზე - 41 279 ლარი. სტადიონების მოწყობაზე 18 629 ლარი, სოფლის წისქვილების რეაბილიტაციაზე 18 970 ლარი, საყანე ფართობების შემოღობვაზე 35 253 ლარი, ინვენტარის შეძენაზე 47 594 ლარი, სასაფლაოების რეაბილიტაცია 41 732 ლარი, და სხვა სამუშაოებზე 12 913 ლარი. სულ განხორციელდა 98 პროექტი. ამჟამად სოფლის მხარდამჭერი პროგრამით გათვალისწინებული სამუშაოები დასრულებულია, გარდა ზემოსურებისა და სოფ. ხევისა.

რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2015 წლის 20 იანვრის N39 განკარგულებით გამოიყო 3 076 476 ლარი, აქედან აგრარული ბაზრის რეაბილიტაციაზე 386 456 ლარი, სამუშაოები დასრულებულია. დასრულდა ჩიჩუას, გოგებაშვილის და ჯალაღანიას ქუჩების ა/ბეტონის მოწყობის სამუშაოები თანხით, 347 239 ლარი. დასრულებულია ფიროსმანისა და გოგიბერიძის ქუჩების ა/ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, დაიხარჯა 389 500 ლარი. დასრულდა ამაღლების, ხევის, ქვენობნის, ბუკნარის და კოხნარის საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, სახელშეკრულებო თანხით 154 067 ლარი. დასრულებულია სამების საბავშვო ბაღის სარეაბილიტაციო სამუშაოები, რომლის სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 39 400 ლარს. ასევე დასრულდა ბუკისციხის სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაციის სამუშაოები, სახელშეკრულებო თანხა შეადგენს 63 333 ლარს. დასრულებულია გამგეობის შენობის მიმდებარედ სკვერის მშენებლობა და სამხატვრო გალერეის სარეაბილიტაციო სამუშაოები, საანგარიშო პერიოდში ასევე შესრულდა, სოფ. ფარცხმის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები, თანხით 14 999 ლარი, ბუკისციხის კულტურის სახლის სარეაბილიტაციო სამუშაოები თანხით 35 598 ლარი, დაბა ჩოხატაურის და სოფლების: ზემო ფარცხმის, შუა ფარცხმის, დაბლაციხის, გოგოლესუბნის და გუთურის გარე განათების მოწყობის სამუშაოები, ჯამური თანხით 55 000 ლარი. დასრულებულია ბუკისციხე-ზემო სურების დამაკავშირებელი გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები, სახელშეკრულებო ღირებულება შეადგენს 387 000 ლარს. ასევე, დასრულდა შუა ამაღლების კულტურის სახლის რეაბილიტაცია ღირებულებით 43 499 ლარი. რაც შეეხება კულტურის სახლის მშენებლობას, რომლის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენს 2 523 000 ლარს, გასულ წელს გათვალისწინებული იყო 1 144 446 ლარის ათვისება. შესრულდა 1 052 461 ლარის სამუშაოები.

საანგარიშო პერიოდში შეძენილია ერთი ერთეული ექსკავატორი თანხით 199 000 ლარი და ერთი ერთეული მაღალი გამავლობის თვითმცლელი ავტომანქანა კამაზი, თანხით 49 800. სულ საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 36 პროექტი განხორციელდა.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 29 ივნისის N1381 განკარგულების საფუძველზე სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენით სამუშაოებზე გამოიყო 449 598 ლარი. ჩატარებული ტენდერების შემდგომ სახელშეკრულებო ღირებულებამ შეადგინა 407 905 ლარი. მიღებულია ეკონომია 41 133 ლარი. სულ განხორციელდა 45 პროექტი. სამუშაოების ძირითადი ნაწილი მოიცავდა დაზიანებული გზების, ხიდების, მილხიდების და გაბიონების აღდგენითი სამუშაოებს. სამუშაოები დასრულებულია.

მიღებული ეკონომიის თანხიდან განხორციელდა ხიდისთავის თემში სტიქიით დაზიანებული გზის, სოფელ ახალშენისა და გორაბერეჟოულის დამაკავშირებელი გზის, სოფელ საჭამიასერში მისასვლელი ჩავარდნილი გზის აღდგენისა და სოფელ ქვემოხეთში ყრილდამჭერი გაბიონის მოწყობის სამუშაოები.

საქართველოს მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის N2284 განკარგულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს სტიქიის შედეგების სალიკვიდაციოდ გამოეყო 451 ათ. ლარი. აღდგენით სამუშაოებზე 423 ათ. ლარი, ხოლო საპროექტო დოკუმენტაციების შესადგენად 28 ათ. ლარი. სამუშაოები დასრულებულია.

რაც შეეხება მ/წლის 11-12 ნოემბერს მომხდარი სტიქიის შედეგად დაზიანებული ინფრასტრუქტურული ობიექტებისა და საცხოვრებელი სახლების აღდგენითი სამუშაოებს შედგენილია შესაბამისი აქტი კომისიის მიერ და ზარალის სავარაუდო ღირებულებამ შეადგინა 1081 ათ. ლარი. პირველ ეტაპზე მთავრობის 2015 წლის 24 ნოემბრის N2529 განკარგულებით ჩოხატაურის მუნიციპალიტეტს გამოეყო 450 ათ. ლარი. აქედან, ძირითადად სტიქიით დაზიანებული 88 საცხოვრებელი სახლის აღდგენაზე დაიხარჯა 195 407 ლარი, შეძენილი იქნა სახურავის ხის მასალა, ღარიანი თუნუქი და სხვა მასალები, რომლებიც გადაეცათ სტიქიით დაზარალებულ ოჯახებს. ხოლო ინფრასტრუქტურული ობიექტების აღდგენით სამუშაოებზე გაიხარჯა 194 593 ლარი. აღდგენითი სამუშაოები დასრულებულია. 60 000 ლარი მიემართა სოფელ ხიდისთავის დაზიანებული საავტომობილო ხიდის სამშენებლო სამუშაოების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმეტაციის შედგენაზე, რომელიც ასევე დასრულებულია.

საანგარიშო პერიოდში შედგენილი იქნა 2016-2017 წლის მუნიციპალიტეტის სამოქმედო გეგმა, რომლის მოწონებაც მოხდა საკრებულოს მიერ და რომელიც დაამტკიცა რწმუნებულ-გუბერნატორთან არსებულმა სამხარეო-საკონსულტაციო საბჭომ. საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში გადაგზავნილია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან 2016 წელს ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი ინფრასტრუქტურული სამუშაოების მოწონებული წინადადებები. მთავრობის 2015 წლის 23 ოქტომბრის N2283 განკარგულებით რგფ-დან გამოყოფილია 2016 წელს განსახორციელები ინფრასტრუქტურილი პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენისა და საექსპერტო მომსახურებისთვის 105 800 ლარი. შესაბამისად დამზადებულია ყველა საპროექტო დოკუმენტაცია და გამოცხადებულია ტენდერები.

ასევე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსებით განხორციელდა ხიდისთავის ადმინისტრაციულ ერთეულში ახალშენში მისასვლელ გზაზე ასფალტო ბეტონის საფარის მოწყობის სამუშაოები, რომლის ღირებულებამ 270 800 ლარი შეადგინა.

საანგარიშო წლის მესამე კვარტალში საკრებულოსთან შეთანხმებით შეიქმნა გამგეობის არქიტექტურისა და სივრცითი მოწყობის სამსახური. სამსახურის ძირითადი ფუნქციაა შემოსული განცხადებების შესწავლა და წარმოდგენილი დუკუმენტაციის საპროექტო ნორმებთან შესაბამისობაზე ზედამხედველობა. სამსახური უზრუნველყოფს მშენებლობის ნებართვების, ასევე სადემონტაჟო სამუშაოების ნებართვების გაცემასა და მონიტორინგს. შექმნიდან წლის ბოლომდე სამსახურის მიერ მიღებული და პასუხგაცემულია 88 წერილობითი კორესპოდენცია. გაიცა 34 მშენებლობის ნებართვა, 24 შეთანხმება სხვადასხვა ტიპის მშენებლობებზე, საიდანაც მშენებლობის მოსაკრებელის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შემოსულია 32 480 ლარი.

როგორც თქვენთვის ცნობილია გასული წლის 30 ივნისიდან, ამოქმედდა პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც ითვალისწინებს მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას. საინვესტიციო გარემოს განვითარებისა და ანალიტიკურმა სამსახურმა არაერთ საინფორმაციო სახის კამპანიაში და შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. სამსახური აქტიურ დახმარებას უწევს აჭარა, გურია, სამეგრელო, ზემო სვანეთის ლოტში გამარჯვებული კომპანიას შპს ჯი-ემ-სი-ჯი - INNOVA ჯგუფს მოსახლეობის ინფორმირებაში და კონსულტაციების გაცემაში. ასევე სამსახურმა დახმარება გაუწია და ელექტრონულად დაარეგისტრირა 16 ბიზნეს იდეის ავტორი.

პირველი ეტაპის დაძლევის შემდეგ, სამსახურმა კონსულტაცია და კომპიუტერული მომსახურება გაუწია ბიზნეს იდეის პროექტის მომზადებაში მეორე ტურში გადასულ პრეტენდენტებს, რაც საბოოლოდ დასრულდა ხელშეკრულების გაფორმებით გამარჯვებულ მეწარმეებთან და ამხანაგობებთან. რისი შედეგიც არის ის, რომ დაფინანსდა (რამდენიმე დაფინანსების პროცესშია) 21 ბიზნეს იდეა, დაფინანსების სრულმა მოცულობამ 85000 ათასი ლარი შეადგინა. აღსანიშნავია ისიც რომ ხუთი ბიზნეს იდეა, რომლებსაც მიღებული აქვს შემდეგ ეტაპზე გადსვლისთვის გამსვლელი ქულები, განხილვის სტადიაში.

სამსახური 2016 წლის პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებშიც აქტიურად თანამშრომლობს ეკონომიკის სამინისტროს შესაბამის სააგენტოსთან და გამარჯვებულ INNOVA ჯგუფთან, რათა მეტი დახმარება გაეწიოს დამწყებ, თუ მოქმედ, მეწარმეობით დაინტერესებულ ადგილობრივ მოსახლეობას.

საანგარიშო წელს გამგეობასა და საკრებულოში ამოქმედდა საქმისწარმოების ელექტრონული სისტემა, რომლის ტექნიკურ უზრუნველყოფას განაპირობებს სამსახურის ანალიტიკური განყოფილება.

როგორც მოგეხსენებათ, მუნიციპალიტეტის ერთერთ ეკონომიკურ საფუძველს წარმოადგენს მუნიციპალური ქონება. გამომდინარე აქედან გამგეობის მუნიციპალური ქონების მართვისა და ზედამხედველობის სამსახური ახორციელებს მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აღრიცხვას, ქონების ელექტრონული ბაზის შექმნას და მის მუდმივ მონიტორინგს.

მიმდინარე საჭიროებებიდან, კერძოდ მოსახლეობისა და საჯარო ინტერესების გათვალისწინებით სამსახურის მიერ ეტაპობრივად მიმდინარეობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოცემისათვის საჭირო დოკუმენტაციის მომზადება და საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ თანახმად მუნიციპალიტეტის საკუთრებას მიკუთვნებული არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის მუნიციპალიტეტის საკუთრებად რეგისტრაცია.

მუნიციპალიტეტის მიერ სახელმწიფოსთვის მოთხოვნილია გადმოსაცემად: არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები და შენობა-ნაგებობები. მათ შორის, **დუმბაძის ქ. - 888.0კვმ; სოფ. მეწიეთი-1130კვმ (ყოფ. დაწყებითი სკოლა) არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი მასზედ დამაგრებულ შენობა-ნაგებობასთან ერთად; სოფ. საჭამიასერი შენობა-ნაგებობა ბაღისათვის (ყოფ. საავადმყოფო); სოფ. ქვემოხეთი - (ყოფილი სკოლა) შენობა-ნაგებობა -ახალგაზრდული ცენტრისათვის.**

მუნიციპალიტეტს გადმოეცა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთები დაბაში და სხვადასხვა სოფლებში საპრივატიზებო და სოფლის მხარდამჭერი პროგრამის განხორციელების ხელშეწყობისათვის. კერძოდ, მგზავრთა მოცადელების განსათავსებლად .

2015 წელში გაიმართა 5 საჯარო აუქციონი, გამოტანილი იქნა **32** უძრავ-მოძრავი ქონება (**29 უძრავი, 3 ავტომანქანა)**, პრივატიზებულია **91 360** ლარის ქონება. აღნიშნული თანხა მთლიანად მობილიზებულია ადგილობრივ ბიუჯეტში .

ზედამხედველობის განყოფილება საანგარიშო წლის განმავლობაში პერიოდულად აწარმოებს მონიტორინგს და ადგილზე კონტროლდება მშენებლობის სანებართვო პირობების დარღვევით მიმდინარეობა. 2015 წელში სანებართვო პირობების დარღვევისათვის ჯარიმის სახით ადგილობრივ ბიუჯეტში შეტანილია თანხა **800** ლარის ოდენობით.

აგრეთვე, ზედამხედველობის განყოფილების სპეციალისტები მონაწილეობას ღებულობდნენ მუნიციპალიტეტში შექმნილ სხვადასხვა მუდმივმოქმედ კომისიებში, ინფრასტრუქტურული ობიექტების ინსპექტირებაში, მოთხოვნების შესაბამისად გაცემულია მითითებები და შემოწმების აქტები: სასურსათო მაღაზიის იერსახის მოწესრიგებასთან დაკავშირებით, ასევე, აგრარული ბაზრის მიმდებარე ტერიტორიაზე გარე ვაჭრობის დარეგულირების მიზნით .

2015 წელს ნაყოფიერად იმუშავა გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწევის სამსახურმა, რაც დადასტურდა კიდეც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილის თენგის შერგელაშვილის, გამგებლისადმი მიწერილი წერილით, სადაც

აღნიშნულია, რომ სამსახურმა წარმატებით გაართვა თავი მოქალაქეთა გაწვევისათვის განსაზღვრული გეგმის შესრულებას.

სამსახურის მიერ გაწეული საქმიანობა ციფრებში ასე გამოისახება:

საანგარიშო პერიოდში შემოსულია -310 კორესპოდენცია. პასუხი გაეცა წერილობით - 205 ადრესატს, სათანადო პასუხი გაეცა მოქალაქეთა -29 განცხადებას.

სამოქალაქო რეესტრიდან შემოვიდა -32 ამონაწერი: წვევამდელთა და რეზერვისტთა საცხოვრებელი ადგილის ცვლილებასთან დაკავშირებით, რაზედაც სამსახურის მიერ გაკეთდა სათანადო რეაგირებები.

მოქალაქეებზე გაცემულია- 64 სხვადასხვა სახის ცნობა.

სამსახურის მიერ გაცემული იქნა რეზერვისტის დროებითი მოწმობა -37, სამხედრო სააღრიცხვო მოწმობა -63.

თავდაცვის სამინისტროდან შემოვიდა საკონტრაქტო სამსახურიდან დათხოვნილ მოქალაქეთა- 10 პირადი საქმე, რასაც გაუკეთდა სათანადო რეაგირება.

სხავადასხვა უწყებიდან შემოსული მომართვების საფუძველზე სპეცილურ აღრიცხვაზე აყვანილი იქნა -8 მოქალაქე. სპეციალური აღრიცხვიდან მოიხსნა და საერთო აღრიცხვაზე გადაყვანილ იქნა - 7 .

სამსახურში ფუნქციონირებს გამწვევი კომისია. საანგარიშო პერიოდში ჩატარდა- 20 სხდომა. მიღებულია- 244 გადაწყვეტილება. აქედან სამხედრო სამსახურში გაწვევის შესახებ -85, გადავადების შესახებ - 159.

თბილისის შემკრებ გამანაწილებელ პუნქტში სამედიცინო კომისიაზე გადაყვანილი იქნა - 79 წვევამდელი.

აქედან გეგმით გათვალისწინებული- 12 წვევამდელის ნაცვლად სამხედრო სავალდებულო სამსახურში ჩარიცხულ იქნა -21 წვევამდელი. ჯანმრთელობის მგომარეობის გამო გადაუვადდა გაწვევა -58 წვევამდელს.

საანგარიშო პერიოდში გამართულად, სამუშაოთა აღწერილობის შესაბამისად მუშაობდა ადმინისტრაციული სამსახურის ყველა განყოფილება.

მიმდინარე წლის 4 აპრილიდან მუნიციპალიტეტის გამგეობა გადავიდა ელქტრონულ საქმისწარმოებაზე. აღნიშნულ პერიოდამდე განყოფილების მიერ რეგისტრაციაში გატარდა:

- სახელმწიფო კანცელარიიდან, საქართველოს პარლამენტიდან, სხვადსახვა სამინისტროებიდან და დეპარტამენტებიდან შემოსული 73 კორესპონდენცია;

- გურიის სამხარეო ადმინისტრაციიიდან შემოსული 33 კორესპონდენცია;

- მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ არსებული დაწესებულებებიდან შემოსული 406 კორესპონდენცია;

- მუნიციპალიტეტის საკრებულოდან შემოსული 32 კორესპონდენცია;

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებიდან შემოსული 100 კორესპონდენცია;

- მუნიციპალიტეტის გამგეობაში შემოსული 102 მოქალაქის განცხადება;

- მუნიციპალიტეტის გამგეობიდან სხვადასხვა მისამართზე გაგზავნილი იქნა 960 გზავნილი(ან კორესპონდენცია);

- **ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადასვლის შემდეგ რეგისტრირებული იქნა:**

- შემოსული კორესპონდენცია - 2078;

- გაგზავნილი კორესპონდენცია - 2078

- შიდა კორესპონდენცია - 882

მუნიციპალიტეტის საკრებულოში საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლამდე:

-მუნიციპალიტეტის საკრებულოში სახელმწიფო კანცელარიიდან, სხვადსახვა სამინისტროებიდან შემოსული 13 კორესპონდენცია;

- გურიის სამხარეო ადმინისტრაციიდან - 6 კორესპონდენცია

- მუნიციპალიტეტის ფარგლებს გარეთ არსებული დაწესებულებებიდან შემოსული- 34 კორესპონდენცია.

- მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული დაწესებულებებიდან შემოსულია 3 კორესპოდენცია და მოქალაქეთა 31 განცხადება; გასულია 103 კორესპონდენცია.

საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაზე გადასვლის შემდეგ:

რეგისტრირებულ იქნა 201 სხვადასხვა კორესპონდენცია, სამართლებრივი აქტი-177, შიდა კორესპონდენცია- 161, ხოლო გასული - 149.

აღნიშნულ პერიოდში გაგზავნილი იქნა 996 კორესპონდენცია.

მოთხოვნის შესაბამისად სამსახურმა უზრუნველყო 1525 მოქალაქის მიღება მუნიციპალიტეტის გამგებელთან.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა 2015 წლის საქმეთა ნომეკლატურის შედგენა, ასევე 2008-2010 წლების საქმეთა არქივირება.

აღნიშნულ პერიოდში მოხდა 2015 წლის საქმეთა ნომენკლატურის შედგენა და 2014 წლის საქმეთა არქივირება.

იურიდიული განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში გაწეული იქნა შემდეგი სახის სამუშაოები:

- 2015 წლის განმავლობაში მომზადდა და საკრებულოს სხდომაზე გატანილი იქნა 25 დადგენილების პროექტი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებას მიკუთვნებულ სხვადასხვა საკითხებზე;

- შესწავლილი იქნა და სამართლებრივი დასკვნა მომზადდა გამგეობის სტრუქტურული ერთეულების მიერ საკრებულოში შეტანილ ყველა პროექტზე;

- ვიზირება გაუკეთდა მუნიციპალიტეტის გამგებლის 1875 ბრძანებას;

- განხორციელდა გამგეობის კანონიერი ინტერესების დაცვა სასამართლოში ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეებზე მიმდინარე სამართალწარმოების პროცესში;

- სხვა განყოფილებებთან ერთად, პერიოდულად მიმდინარეობს გამგეობის სტრუქტურული ერთეულების, გამგებლის წარმომადგენლებისა და სხვა საჯარო მოხელეების სამართლებრივი დახმარების გაწევა და იურიდიული კონსულტირება.

- განხილული და პასუხგაცემული იქნა განყოფილების კომპეტენციას მიკუთვნებული კორესპოდენციები, განცხადება/საჩივრები.

- განხორციელდა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირების წესდებების მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისობაში მოყვანა და მისი კანონით დადგენილი წესით რეგისტრაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

ადმინისტრაციული სამსახურის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ საანგარიშო პერიოდში განხილულ და დასაქმების ერთიან მონაცემთა ბაზაში აღრიცხული იქნა 65 მოქალაქის განცხადება, მომზადდა გამგებლის 1875 ბრძანება. განყოფილების მიერ მომზადდა და საკრებულოს მიერ დამტკიცებული იქნა მუნიციპალიტეტის გამგეობის 2016 წლის წლიური სასწავლო გეგმა. ,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის 130-ე მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად სსიპ - საჯარო სამსახურის ბიუროს მივაწოდეთ ინფორმაცია მუნიციპალიტეტის გამგეობაში დასაქმებულ მოსამსახურეთა სტატისტიკური მონაცემების შესახებ.,,საჯარო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად განყოფილებამ უზრუნველყო მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ ვაკანტურ თანამდებობებზე ჩატარებული კონკურსის შედეგად შერჩეულ გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა პირადი საქმეების წარმოება, წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისრულეში მოყვანა.

ადამიანური რესურსების მართვის განყოფილების მიერ შემუშავდა შრომითი ხელშეკრულების პროექტები. განყოფილება ასევე აწესებს კონტროლს შრომითი ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადების დაცვაზე.

შემუშავდა გამგეობის საჯარო მოსამსახურეთა სამსახურებრივი გადაადგილების და დენადობის თაობაზე სტატისტიკური მონაცემები. განყოფილება უზრუნველყოფს ამ მონაცემთა პერიოდულ ანალიზს და შეფასებას.

ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების ძირითადი ფუნქცია ადმინისტრაციულ ერთეულში გამგებლის წარმომადგენლებსა და მუნიციპალიტეტის გამგებელს შორის კომუნიკაციაა. ამ განყოფილების მიერ ხდება ადმინისტრაციული ერთეულებიდან სტატისტიკური თუ სხვა ინფორმაციის მიღება, დამუშავება და საჭიროების შემთხვევაში გადაგზავნა.

ადმინისტრაციული სამსახურის ერთ-ერთი ფუნქცია არის მუნიციპალიტეტის გამგებლის გამართული კომუნიკაციის უზრუნველყოფა სხვა თვითმმართველ ერთეულებთან, გამგეობის სტრუქტურულ ერთეულებთან და წარმომადგენლობით ორგანოსთან. ასევე მოქალაქეებთან, სახელმწიფო ორგანოებთან, იურიდიულ პირებთან და სხვა გაერთიანებებთან; მონაწილეობის მიღება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებაში; პრესისა და მასობრივი ინფორმაციის საშუალებებში გაშუქებული მასალების ანალიზი; მუნიციპალიტეტის გამგებლის თათბირების ორგანიზება. აღნიშნული ფუნქციის განხორციელებას უზრუნველყოფს **გამგებლის თანაშემწე,** რომელიც არის საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის რეგიონებსა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობის დეპარტამენტის საკონტაქტო პირი.

,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს მოთხოვნებიდან გამომდინარე გამგეობაში საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირად დადგენილია ადმინისტრაციული სამსახურის უფროსი. საჯარო ინფორმაციის გაცემის კუთხით მდგომარეობა ასეთიაЖ მუნიციპალიტეტის გამგეობაში მიმდინარე წელს შემოსულია საჯარო ინფორმაციის გაცემის 36 მოთხოვნა. ყველა მოთხოვნა დაკმაყოფილდა, გადაწყვეტილება საჯარო ინფორმაციის გაცემაზე უარის თქმის შესახებ არ მიღებულა. საჯარო ინფორმაციაში შესწორების შესახებ მოთხოვნა არ შემოსულა.

საჯარო მოსამსახურეთა მიერ ,,საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი”-ს მოთხოვნათა დარღვევისა და პასუხისმგებელ პირებზე დისციპლინური სახდელის დადების ფაქტი არ გამოვლენილა.

საჯარო ინფორმაციის დამუშავებასა და გაცემასთან დაკავშირებით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2015 წელს გადახდილია 145 ლარი და 70 თეთრი.

ასევე, ადმინისტრაციული სამსახურის უფროსის მიერ მომზადდა სადამფუძნებლო დოკუმენტაცია ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება ,,ჩოხატაურის აგრარული ბაზარი“-ს დაფუძნებაზე

თანხმობასა და მის საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციასთან დაკავშირებით.

ადმინისტრაციული სამსახურის თანამშრომლები მონაწილეობენ სხვადასხვა კომისიების 9სატენდერო კომისია, სატენდერო კომისიის აპარატი, ლეგალიზაციის კომისია, მწვანე ნარგავების ლიკვიდაციასთან დაკავშირებით შექმნილი მუდმივმოქმედი კომისია, ჩოხატაურის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადამცემი მუდმივმოქმედი სააუქციონე კომისია0 - მუშაობაში.

საანგარიშო წელი გამოირჩეოდა კულტურულ-სპორტული ღონისძიებების სიმრავლით. გასულ წელს, ამ სფეროში 106 ღონისძიება ჩატარდა. რამდენიმეს შეგახსენებთ.

თებერვალში მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გარეთიანებისა და მედიასახლ „გურია-NEVS" - ის ერთობლივი ძალისხმევით ჩატარდა ღონიძიება „აღადგინე ისტორია არქივთან ერთად"- შინაგან საქმეთა სამინისტროს არქივში დაცულ მასალებზე დაყრდნობით.

სამუსიკო სკოლის ვაჟთა გუნდმა მონაწილება მიიღო და გაიმარჯვა, კლასიკური მუსიკის საერთაშორისო ფესტივალზე.

აპრილში მუნიციპალიტეტმა მონაწილეობა მიიღო საეთაშორისო ტურისტულ გამოფენაზე „ექსპო ჯორჯია 2015".

საჯარო სკოლების მოსწავლეების მონაწილეობით მოეწყო შეხვედრა ინოვაციებისა და განვითარების ფონდთან.

საერთაშორისო ფესტივალის „აღდგომიდან ამაღლებამდე" ფარგლებში კონცერტი გამართა თბილისის მერიის ბიგ-ბენდმა.

ვუმასპინძლეთ ცნობილ მსახიობს მურმან ჯინორიას, რომელმაც მონო სპექტაკლი წარმოადგინა.

გასული წლის მაისში ჩატარდა რამდენიმე ღონისძიება, მათ შორის, ნიკო მარის დაბადებიდან 150 წლისადმი მიძღვნილი ღონისძიება ივ. ჯავახიშვილის სახ. უნივერსიტეტის რექტორატისა და ენათმეცნიერთა ჯგუფის მონაწილეობით.

ასევე მაისში ჩატარდა ერისთავების ციხე-დარბაზში თეატრალიზებული ღონისძიება, მხარეთმცოდნეობის მუზეუმისა და მოსწავლე-ახალგაზრდობის სახლის ორგანიზებით.

ივლისში, პირველ საერთაშორისო ახალგაზრდულ, მუსიკალურ კონკურს-ფესტივალზე, „ბათუმის მარგალიტი 2015" - ის ფარგლებში გაიმარჯვა ჩოხატაურელმა ლილიანა ლომინეიშვილმა, რომელმაც შემდეგ ჩვენი მუნიციპალიტეტი ღირსეულად წარმოადგინა ქალაქ რიგაში.

ასევე არაერთ წარმატებას მიაღწია ბავშვთა როკ-ჯგუფმა, რომელიც მიწვეული იყო ევროპის რამდენიმე ქვეყანაში.

რამდენიმე ღონისძება ჩატარდა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ჩვენი თანამოქალაქეებისათვის: ბავშვების გამგზავრება ქუთაისის თოჯინების თეატრში; შშმ პირების მონაწილეობის უზრუნველყოფა ქალაქ ოზურგეთში სპორტულ ფესტივალზე; ასევე კურორტ ბახმაროში ფერისცვალების დღესასწაულზე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვების დასწრება0 მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით აღინიშნა შშმ პირთა მომსახურების ცენტრის „ჩვენ ერთად ვართ“ ორგანიზებით, შშმ პირთა მსოფლიო საერთაშორისო დღე.

გასულ წელს ავღნიშნეთ მუნიციპალიტეტის სახალხო თეატრის 130 წელი. თეატრმა საქართველოს სახალხო თეატრების ფესტივალზე I ადგილი დაიკავა.

არაერთი სპორტული ღონისძიება ჩატარდა მუნიციპალიტეტის პირველობა ფრენბურთში, მინიფეხბურთში, ტურნირები ჭიდაობაში, ისტორიული იყო ოლიმპიური ცეცხლის შემოსვლა, რომელიც პომპეზურად არ აღგვინიშნავს 13 ივნისს თბილისში დატრიალებული ტრაგედიის გამო.

გასული წელი შეიძლება შეფასდეს, როგორც წარმატებული, იმის გათვალისწინებითაც, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტი ინოვაციურ პროექტის განხორციელების მხრივ ქვეყნის ათ საუკეთესო მუნიციპალიტეტს შორის დასახელდა.